585
1988

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 4

1988

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

18920

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (573) აპრილი 1988 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

64. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

65. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 151-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.

66. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

### საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

67. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ვ. ბ. ბლაჟევსკის, ე. ე. კაპბას, ვ. ა. შარაშენიძის, ა. ვ. ქვანიას და ა. შ. იოსელიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

68. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ გ. ა. ზგერსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

69. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ვ. ბ. ბლაჟევსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

ეროვ. სსრ ე. ბიბლიოთ. [illegible]

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

70. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის განერალური სქემის პროექტის შესახებ.

71. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

72. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

73. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ა. ა. ალახვერდიევის საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

74. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. გ. ა. ტურაშვილისა და ამხ. ა. ბ. წაბრიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

75. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ.

76. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.

77. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

78. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო.

## განყოფილება მეორე

79. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

80. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ლ. გულეგეჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

81. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ი. ბაგრატიონის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

82. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ვ. მელქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

83. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ხ. კ. აიბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

84. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ი. ანჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

85. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ვ. გურალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

86. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ჰ. კონცელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

87. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. ჩიკვაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

88. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ბ. ჩხოლარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

89 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ლ. კაკულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

90. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ზ. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

91. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. ვაშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

92. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. თევზაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

93. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ა. კოჩეტოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

94. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. გ. ხატიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

95. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. შ. კაბულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

96. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. დ. ჯანაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

97. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები.
საქართველოს სსრ მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 64 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირების არამართლზომიერ მოქმედებათა სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის 1987 წლის 30 ივნისის კანონისა და „მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირების არამართლზომიერ მოქმედებათა სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით სსრ კავშირის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამაროლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 91[1] მუხლი და 23[1] თავი:

**„მუხლი 91[1].** საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილება

საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება დაეკისროს მოქალაქეს, თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ანდა თანამდებობის პირს, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მისი მოქმედებანი უკანონოა“.

**თავი 23[1].** საჩივრები მოქალაქეთა უფლებების შემლახველი თანამდებობის პირების არამართლზომიერ მოქმედებებზე

**მუხლი 247[1].** სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლება

მოქალაქეს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს სასამართლოს, თუ მიაჩნია, რომ თანამდებობის პირის მოქმედებამ შელახა მისი უფლებები.

სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი სახელით ან იმ ორგანოს სახელით ერთპიროვნულად ჩადენილი მოქმედებანი, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან.

**მუხლი 247[2].** სასამართლოში გასასაჩივრებელი თანამდებობის პირთა მოქმედებანი

კანონის დარღვევით, უფლებამოსილების გადამეტებით ჩადენილ მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირთა მოქმედებებს განეკუთვნებიან მოქმედებანი, რომელთა შედეგად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქე უკანონოდ მოკლებულია შესაძლებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ განაბოროციელოს მისთვის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლება;

მოქალაქეს უკანონოდ დაეკისრა რაიმე მოვალეობა.

**მუხლი 247[3].** ამ თავის მოქმედების ფარგლები

ამ თავის შესაბამისად არ შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს იმ თანამდებობის პირთა მოქმედებანი, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, შრომითი დავის განხილვის წესის, აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონმდებლობითა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულია გასაჩივრების სხვაგვარი წესი, აგრეთვე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოქმედებანი.

**მუხლი 247[1].** საჩივრის შეტანა

საჩივარი თანამდებობის პირის მოქმედებაზე მოქალაქის შეხედულებისამებრ სასამართლოში შეიძლება შეტანილი იქნეს ამ მოქმედების ხელქვეითობის წესით ზემდგომ თანამდებობის პირთან ან ორგანოში გასაჩივრების შემდეგ, ანდა უშუალოდ სასამართლოში.

საჩივარი თანამდებობის პირის მოქმედებაზე სასამართლოში შეიძლება შეიტანოს მოქალაქემ, მისმა წარმომადგენელმა, აგრეთვე მოქალაქის თხოვნით — საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის სათანადოდ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა.

საჩივარი თანამდებობის პირის მოქმედებაზე შეაქვთ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში იმ თანამდებობის პირის სამუშაო ადგილის მიხედვით, რომლის მოქმედებაც საჩივრდება.

**მუხლი 247[5].** სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადები

საჩივრის სასამართლოში შეტანა შეიძლება ერთი თვის ვადაში, რომელიც გამოიანგარიშება იმ დღიდან, როდესაც მოქალაქისათვის ცნობილი გახდა მის მიმართ თანამდებობის პირის არამართლზომიერი მოქმედება, ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე ხელქვეითობის წესით ზემდგომი თანამდებობის პირის ან ორგანოსაგან უარის მიღების, ანდა საჩივრის განხილვისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლის დღიდან.

**მუხლი 247[6].** საჩივრის განხილვა

სასამართლო საჩივარს განიხილავს ათი დღის ვადაში, როგორც წესი, ღია სხდომაზე, მომჩივანი მოქალაქისა და იმ თანამდებობის პირის მონაწილეობით, რომლის მოქმედებაც საჩივრდება.

თუ მოქალაქეს და იმ თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება, საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ სასამართლოში გამოცხადება, საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მომჩივანი მოქალაქის წარმომადგენლის ან თანამდებობის პირის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო სხდომაზე მომჩივანი მოქალაქის ან იმ თანამდებობის პირის, რომლის მოქმედებაც საჩივრდება, ან მათი წარმომადგენლების არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია სავალდებულოდ ცნოს მომჩივანი მოქალაქის და იმ თანამდებობის პირის გამოცხადება, რომლის მოქმედებაც საჩივრდება.

სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, აგრეთვე ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოების თანამდებობის პირებს ან მათ წარმომადგენლებს.

სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ხელქვეითობის წესით ზემდგომი თანამდებობის პირების ან ორგანოების მასალები, რომლებმაც კანონიერად ცნეს თანამდებობის პირის გასაჩივრებული მოქმედება, აგრეთვე შეიძლება მოისმინოს სხვა პირთა განმარტებები, გამოიკვლიოს საჭირო დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი.

**მუხლი 247.** სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის გამო

თუ სასამართლო არამართლზომიერად ცნობს თანამდებობის პირის გასაჩივრებულ მოქმედებას, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის საფუძვლიანობისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ მოქალაქის უფლების დაშვებული დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულების შესახებ.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ გასაჩივრებული მოქმედებანი შეესაბამება კანონს, თანამდებობის პირის უფლებამოსილების ფარგლებშია და მოქალაქის უფლება არ შელახულა, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის გამო კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის დაშვებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად გადაეგზავნება თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც გასაჩივრდა, ანდა ხელქვეითობის წესით ზემდგომ ორგანოს ან თანამდებობის პირს.

**მუხლი 247.** სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესებით, იმ გამონაკლისებითა და დამატებებით, რომლებიც დადგენილია ამ თავით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საჩივრის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიღებული ზომების შესახებ სასამართლოსა და მოქალაქეს ეცნობებათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში. გადაწყვეტილების აღუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლო მიიღებს ამ კოდექსის 421-ე მუხლით გათვალისწინებულ ზომებს“.

2. 88-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-10 პუნქტს დაემატოს სიტყვები „ამ კოდექსის 91[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა“.

3. 233-ე მუხლს მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თუ სარიგირის განხილვის დროს სასამართლო დაასკვნის, რომ დარღვეული იყო მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და სარიგირების განხილვის დადგენილი წესი, აღგილი ჰქონდა საქმის გაჭიანურებას, კრიტიკის ჩახშობას, მისთვის დევნას, ავრეთვე კანონიერების სხვაგვარ დარღვევებს, სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება და უგზავნის მას ხელქვეითობის წესით ზემდგომ თანამდებობის პირს ან ორგანოს. აღნიშნული თანამდებობის პირი ან ორგანო მოვალე არიან ერთი თვის ვადაში აცნობონ სასამართლოს კერძო განჩინების გამო მიღებული ზომების შესახებ“.

მესამე ნაწილი ჩათვალოს მეოთხე ნაწილად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ სამოქალაქო საქმის ან მოქალაქეთა უფლებების შემლახველი თანამდებობის პირების არამართლზომიერ მოქმედებაზე საჩივრის განხილვის დროს სასამართლო მხარის, თანამდებობის ან სხვა პირის მოქმედებაში აღმოაჩენს დანაშაულის ნიშნებს, იგი ამის შესახებ აცნობებს პროკურორს ან აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს“.

4. 238-ე **მუხლის** მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) **ადმინისტრა**ციული სახდელების დადებასთან დაკავშირებით ორგანოებისა და **თანამდ**ებობის პირთა მოქმედებებზე საჩივრების, მოქალაქეთა უფ**ლებ**ების შემლახველი თანამდებობის პირების არამართლზომიერ მოქმედებებზე საჩივრების გამო, რომლებიც კანონით სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება“.

5. 334-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„მოქალაქის უფლებების შემლახველ თანამდებობის პირთა არამართლზომიერ მოქმედებებზე საჩივრის გამო მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პროტესტის შეტანა შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას ზედამხედველობის წესით საქმის წარმოების დამთავრებამდე“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე 3. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 5 აპრილი.
№ 1668—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 65 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 151-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

„შრომის შესახებ სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების **შეტ**ანის **თა**ობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 29 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118) 151-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მინდობილი სამუშაოსათვის ეარგისიანობის განსაზღვრისა და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით მძიმე სამუშაოებსა და შრომის მავნე ან საშიშ პირობებიან სამუშაოებზე (მათ შორის მიწისქვეშა სამუშაოებზე), აგრეთვე ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა სამუშაოზე მიღებისას წინასწარ, ხოლო შემდგომ — პერიოდულად (21 წლამდე ასაკის პირებისა — ყოველწლიურად)“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 5 აპრილი.
№ 1667—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 66 ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღების შესახებ

ითვალისწინებს რა მშრომელთა სურვილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინადადებებს ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის შემოღების შესახებ, ამასთან მხედველობაში იღებს, რომ ასეთი მოქმედებანი შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების მორალთან და ზიანს აყენებს მოქალაქეთა, განსაკუთრებით ბავშვთა, აღზრდის საქმეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. დაწესდეს, რომ ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა, რასაც მოჰყვა მათი დაღუპვა ან დასახიჩრება, აგრეთვე ცხოველების წვალება იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთივე მოქმედებისათვის წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელის ზომა, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

II. შეტანილ იქნეს დამატებები საქართველოს სსრ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) დამატოს შემდეგი შინაარსის 250² მუხლი:

**„მუხლი 250².** ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა

ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა, რასაც მოჰყვა მათი დაღუპვა ან დასახიჩრება, აგრეთვე ცხოველების წვალება იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთივე მოქმედებისათვის წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელის ზომა, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

2. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1986 წ., № 6, მუხ. 140) 126-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „250¹ მუხლის პირველი ნაწილით“ შემდეგ დამატოს სიტყვები „250² მუხლით“.

**საქართველოს სსრ** უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
**საქართველოს** სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 5 აპრილი.
№ 1666—XI

## საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**67 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ვ. ბ. ბლაჟიევსკის, ე. ე. კაპბას, ვ. ა. შარაშენიძის, ა. ვ. უვანიას და ა. შ. იოსელიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ვიქტორ ბორისის ძე **ბლაჟიევსკის**, ენვერ ერასტის ძე **კაპბას**, ვიქტორ ბებიოს ძე **შარაშენიძის**, არნოლდ ვახტანგის ძე **უვანიასა** და ალექსანდრე შოთას ძე **იოსელიანის** უფლებამოსილება, **რომლებიც** აირჩიეს 1988 წლის 13 მარტს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 57 ვაჟა-ფშაველას, ლაგოდეხის რაიონის № 213 ლაგოდეხის, **თერჯოლის რაიონის № 255 ჭოგნარის**, ჩხოროწყუს რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის № 345 ლესიჭინეს და აფხაზეთის ასსრ ქ. გაგრის № 370 კურორტის სანა-
ჩევნო ოლქებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 117—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 68 დეპუტატ გ. ა. ზგერსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
**ადგენს:**
განთავისუფლდეს დეპუტატი გენადი ანატოლის ძე **ზგერსკი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 118—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 69 დეპუტატ ვ. ბ. ბლაჟიევსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
**ადგენს:**
არჩეულ იქნეს დეპუტატი ვიქტორ ბორისის ძე **ბლაჟიევსკი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 119—XI ს.

# 70 რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის პროექტის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის პროექტის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკაში გაშლილია აქტიური მუშაობა სახალხო მეურნეობის გაძღოლის რადიკალური რეფორმის განსახორციელებლად, რომელიც მართვის ორგანოების სქემიანობის ყველა სფეროს მოიცავს.

ხორციელდება ფართომასშტაბური ღონისძიებანი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის ეკონომიკის ყველა დარგის მოსამზადებლად, გათვალისწინებულია მათი ჩატარება მართვის დარგობრივი შტაბების — სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, ცენტრალური დაწესებულებების ღონეზე. ყველა ღონისძიება მიზნად ისახავს „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ჩამოყალიბებული პრინციპების რეალიზაციას.

მართვის მთლიანმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის სოციალური სფეროს განვითარების რეალური დაჩქარება, დინამიზმი, ხელი შეუწყოს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდების უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით გადაჭრით შეცვლას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს ძირითადად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის გარდაქმნის მიმართულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პრაქტიკულ რეალიზაციას და ამ საფუძველზე ახალი სამეურნეო მექანიზმის საყოველთაოდ დანერგვის, მართვის ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკური მეთოდებზე გადასვლისათვის საჭირო პირობების შექმნას.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის საბოლოო დამუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დასახულ ღონისძიებათა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით უზრუნველყონ მათი თანამიმდევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული და განუხრელი განხორციელება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომითი კოლექტივების ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებასა და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დემოკრატიზაციას, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის რეალურ გაფართოებას, მათს გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

— მიაღწიოს მართვის ყველა რგოლის საქმიანობის გადაჯრით გაუმჯობესებას, ამაღლოს კადრების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისა და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ეფექტიანობისათვის, ამასთან გაამარტივოს და გააიაფოს მართვის აპარატი, წარმართოს მთელი მუშაობა მთავარი ამოცანის გადასაწყვეტად — რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად;

— წარუდგინოს დადგენილი წესით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განსახილველად წინადადებანი საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების და უწყებების რეორგანიზაციის, შექმნისა და გაუქმების შესახებ და რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების თაობაზე, ხოლო საკავშირო ორგანოებს — სათანადო წინადადებანი მათ მიერ გადასაწყვეტ საკითხებზე;

— შეიმუშაოს და შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წინადადებანი „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ კანონსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

5. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა შეიმუშაონ ღონისძიებანი მართვის სისტემის ორგანიზაციულ გარდაქმნასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა სრული და დროული შრომითი მოწყობისათვის, ამასთან, უწინარეს ყოვლისა, გაითვალისწინონ კვალიფიციური კადრებით ძირითადი რგოლის — სამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებების უზრუნველყოფა, აგრეთვე სამუშაოდ მიზიდვა რეგიონებში შესაქმნელ კოოპერატივებში. საჭიროების კვალობაზე უზრუნველყონ გამოთავისუფლებულ მუშაკთა გადამზადება და მათთვის ახალი პროფესიების სწავლება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანათა შესაბამისად.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების მორიგი სესიების განსახილველად შეიტანონ ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მართვის გარდაქმნისა და რადიკალური რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხები, შეიმუშაონ და განახორციელონ კომპლექსური ღონისძიებათა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში, სახალხო მეურნეობის მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას; უნარიანად გამოიყენონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებისათვის მინიჭებული გაზრდილი უფლებები მათს ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვისათვის; გაამლიერონ მუშაობა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა და საზოგადოებრივ მეურნეობათათვის ეფექტიანი საქმიანობის პირობების შესაქმნელად;

— დაჩქარონ მზადება ახალ პირობებში მუშაობისათვის, გამოარკვიონ მისი ეფექტიანობის შემცირების მიზეზები, მიიღონ ქმედითი ზომები მათს აღმოსაფხვრელად, უზრუნველყონ გადასვლა მეურნეობრობის ახალ მეთოდებზე იმ ვარაუდით, რომ ეკონომიკურმა ბერკეტებმა განაპირობონ შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გაზრდა, მაღალი სამომხმარებლო თვისებების პროდუქციის გამოშვება მინიმალური დანახარჯებით, საწარმოთა, საზოგადოებრივ მეურნეობათა რიტმული, რენტაბელური მუშაობა;

— უზრუნველყონ მაღალი ორგანიზებულობა, შეგნებული დისციპლინა, დემოკრატიზმის გაღრმავება, ფართო საჯაროობა; მჭიდრო ურთიერთობა იქონინონ მოსახლეობასთან ადგილებზე, ძირითადი ყურადღება დაუთმონ სოციალური ამოცანების, საზოგადოებრივი ცხოვრების მომწიფებული საკითხების გადაწყვეტას;

— განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა ბერკეტისა და საშუალების გამოსაყენებლად ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სასურსათო ბაზის განმტკიცება-გაფართოებისათვის, უფრო მეტად გამოიყენონ პირადი საკარმიდამო ნაკვეთების, მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) და საწარმოების დამხმარე მეურნეობათა შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გასაზრდელად, უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება და მომსახურების სფეროს გაფართოება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 120—XI ს.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა



## 71 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1987 წლის 15 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 21 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, შრომა-გასწორების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1987 წლის 21 დეკემბრისა — „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 25 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1988 წლის 15 იანვრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1988 წლის 19 თებერვლისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1988 წლის 22 მარტისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1988 წლის 22 მარტისა — „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

1988 წლის 22 მარტისა — „კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების დადგენილი წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 წლის 24 მარტისა — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 121—XI ს.

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

**72 საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის **უმაღლესი საბჭო ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 20 იანვრის გრძანებულება „საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონის 27-ე მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253) სიტყვები „საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 122—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**73** **ამხ. ა. ა. ალახვერდიევის საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 21 მარტის **გრძანებულება** ამხ. აჯიბაგირ აჯი ოღლი **ალახვერდიევის** საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

1890

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 123—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**47** **ამხ. ბ. ა. ტურაშვილისა და ამხ. ა. ბ. წაბრიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 31 დეკემბრის გრძანებულება ამხ. გულდარ არსენის ძე **ტურაშვილისა** და ამხ. ალექსი ბაჯგოს ძე **წაბრიას** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს **წევრებად არჩევის** შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
**№ 124—XI ს.**

საქ. სსრ კ. ვარქოსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 75 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისია.

**საქართველოს სსრ** უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **თავმჯდომარე** პ. **გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ** უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **მდივანი** ვ. **კპარაძეელია.**

**თბილისი,** 1988 **წლის** 2 **აპრილი.**
№ 125—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 76 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისია 17 კაცის შემადგენლობით.

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

**კომისიის თავმჯდომარე**

ლევი გიორგის ძე **სტურუა** — დეპუტატი ქ. თბილისის პისარევის საარჩევნო ოლქისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კომისიის წევრები:**

ზაურ ხაკის ძე **ავიძბა** — დეპუტატი ქ. სოხუმის ლაკობას საარჩევნო ოლქისაგან;

ენიზა შოთას ასული **ბაძგარაძე** — დეპუტატი ქ. ქუთაისის ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქისაგან;

თენგრიდა სოკრატის ასული **გაშიბაიაზოვა** — დეპუტატი წალკის რაიონის ბეშთაშენის საარჩევნო ოლქისაგან;

მიხეილ დანიელის ძე **დავითაშვილი** — დეპუტატი ოჩამჩირის რაიონის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან;

ანატოლი დიმიტრის ძე **დიხტიარი** — დეპუტატი ქ. თბილისის რუსთაველის საარჩევნო ოლქისაგან;

არნოლდ ვახტანგის ძე **ყვანია** — დეპუტატი ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს საარჩევნო ოლქისაგან;

გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძე** — დეპუტატი ახმეტის რაიონის ახმეტის საარჩევნო ოლქისაგან;

მაიმა ვიქტორის ასული **მალვი** — დეპუტატი ქ. გაგრის ბაღნარის საარჩევნო ოლქისაგან;

ნოდარ დავრიშის ძე **მამრაში** — დეპუტატი ქ. თბილისის 5 დეკემბრის საარჩევნო ოლქისაგან;

ალექსანდრე სერაფიმის ძე **მიხაილოვი** — დეპუტატი აბაშის რაიონის ძველი აბაშის საარჩევნო ოლქისაგან;

პავლე ალექსანდრეს ძე **ნანეიევი** — დეპუტატი ჯავის რაიონის კვაისის საარჩევნო ოლქისაგან;

ნარგიზა ემინის ასული **სირაძე** — დეპუტატი ხულოს რაიონის დიოკნისის საარჩევნო ოლქისაგან;

ივერი ვარლამის ძე **ფრანგიშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის მარქსის საარჩევნო ოლქისაგან;

გიორგი შალვას ძე **ციცეიშვილი** — დეპუტატი ზნაურის რაიონის ზნაურის საარჩევნო ოლქისაგან;

ციალა აიკაზის ასული **ხოცანიანი** — დეპუტატი ბოგდანოვკის რაიონის ჯიგრაშენის საარჩევნო ოლქისაგან;

თეიმურაზ მამედის ძე **ჯაფარლი** — დეპუტატი ბოლნისის რაიონის ქვემო ბოლნისის საარჩევნო ოლქისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 126—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

# 77 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბ**ჭო ადგენს:**

არჩეულ იქნენ დეპუტატები:

ალექსანდრე შოთას ძე **იოსელიანი** — დეპუტატი ქ. გაგრის კურორტის საარჩევნო ოლქისაგან — მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრად;

ენვერ ერასტის ძე **კაპბა** — დეპუტატი ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის საარჩევნო ოლქისაგან — სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრად.

განთავისუფლდნენ დეპუტატები:

ზაურ ხაკის ძე **ავიძბა** — ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ენნზა შოთას ასული **ბაძგარაძე** — საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

თენგრიდა სოკრატის ასული **გაშიბაიაზოვა** — მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

მიხეილ დანიელის ძე **დავითაშვილი** — სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ანატოლი დიმიტრის ძე **დიხტიარი** — მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

გრიგოლ დავითის ძე **ლორთქიფანიძე** — ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

მაიმა ვიქტორის ასული **მალვი** — ენერგეტიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ნოდარ დავრეშის ძე **მამრაში** — საგარეო საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ალექსანდრე სერაფიმის ძე **მიხაილოვი** — სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

პავლე ალექსანდრეს ძე **ნანიეკი** — მრეწველობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ნარგიზა ემინის ასული **სირაძე** — აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

დეკი გიორგის ძე **სტურუა** — მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ივერი ვარლამის ძე **ფრანგიშვილი** — მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

გიორგი შალვას ძე **ციციშვილი** — სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა აიკაზის ასული **ხოცანიანი** — ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

თეიმურაზ მამედის ძე **ჯაფარლი** — საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 127—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 78 ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიის მიერ შეკითხვის წესით ქ. ახალქალაქის საავადმყოფოს მშენებლობის შესახებ საკითხის დაყენება განაპირობა იმან, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ ვერ უზრუნველყვეს საავადმყოფოს მშენებლობის პროექტის დამთავრება და მისი მოიჯარის — რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ 1988 წლის მშენებლობის გეგმაში შეტანა, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 27 ოქტომბრის № 552 დადგენილებით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ქ. ახალქალაქში 390-საწოლიანი საავადმყოფოს (სამშობიარო და ბავშვთა განყოფილებებითურთ) და სანეიდსადგურის მშენებლობის თაობაზე **ახალ**ქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სახალხო განათლების, **კულ**ტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, დეპუტატ ი. მენაღარიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ნოემბრის № 806 და 1987 წლის 27 ოქტომბრის № 552

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებების მოთხოვნათა შესასრულებლად ქ. ახალქალაქში საავადმყოფოს მშენებლობა დაიწყება 1989 წელს და დამთავრდება 1990 წელს, ხოლო სანეპიდსადგურისა — შესაბამისად 1988—1989 წლებში.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ 1988 წლის პირველ ნახევარში უზრუნველყოს ქ. ახალქალაქის საავადმყოფოს მშენებლობის პროექტის შედგენა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენისათვის“ გადაცემა.

3. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქაგრომშენს“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 27 ოქტომბრის № 552 დადგენილების შესაბამისად განახორციელოს ღონისძიებები ქ. ახალქალაქში 390-საწოლიანი საავადმყოფოს (სამშობიარო და ბავშვთა განყოფილებითურთ) და სანეპიდსადგურის მშენებლობის დაწყება-დამთავრებისათვის ამ დადგენილების პირველ პუნქტში გათვალისწინებულ ვადებში.

4. დაევალოს ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს ქ. ახალქალაქის საავადმყოფოსა და სანეპიდსადგურის მშენებლობებზე შექმნას დეპუტატთა საგუშაგო.

5. ახალქალაქის რაიონიდან საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულმა დეპუტატებმა თვალყური ადევნონ საავადმყოფოსა და სანეპიდსადგურის მშენებლობის მიმდინარეობას.

6. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულების მსვლელობისადმი დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუდმივ კომისიებს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 2 აპრილი.
№ 128—XI ს.

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 79 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისა და ადამიანთა გადარჩენის დროს გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაიაკ ართავაზის ძე **გაბრიელიანი** — ქ. თბილისის № 8 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

ვასილ მიხეილის ძე **გორდიენკო** — ქ. რუსთავის გასამხედროებული სახანძრო დაცვის რაზმის უფროსის თანაშემწე.

ზაქარ ალი ოღლი **იუსუბოვი** — ქ. რუსთავის № 41 დაქვემდებარებული გასამხედროებული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური.

ნუგზარ ევგენის ძე **კოზაევი** — ქ. თბილისის № 2 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

თამაზ მიხეილის ძე **მახარაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ხანძრის ჩაქრობის სამორიგეო სამსახურის ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის თანაშემწე.

სოსლან ავთანდილის ძე **მინდიაშვილი** — ქ. გორის № 46 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილე.

გიორგი ივანეს ძე **მიქაშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს სამსახურისა და მომზადების განყოფილების უფროსი ინჟინერი.

ვასილ იოსების ძე **ოძელაშვილი** — ქ. თბილისის № 4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

ლევთერ პავლეს ძე **ჩოჩუა** — ქ. ფოთის პროფესიული სახანძრო დაცვის რაზმის უფროსი.

კოტა იაკობის ძე **ჩორგუაშვილი** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 7 აპრილი.
№ 1669—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 80 ამხ. ვ. ლ. გულევიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, მშრომელთა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ლეონტის ძე **გულე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიჩი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 1 აპრილი.
№ 1654—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 81 ამხ. ჯ. ი. ბაგრატიონის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჯანსუღ ირაკლის ძე **ბაგრატიონი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 4 აპრილი.
№ 1665—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 82 ამხ. ო. ვ. მელქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და სახალხო კონტროლის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ოთარ ვალერიანის ძე **მელქაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაუვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 7 აპრილი.
№ 1670—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 83 ამხ. ხ. კ. აიბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ხაკიბეი კაკის ძე **აიბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 აპრილი.
№ 1675—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 84 ამხ. ზ. ი. ანჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი ზურაბ ივანეს ძე **ანჯაფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 აპრილი.
№ 1671—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 85 ამხ. ვ. ვ. გურალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სანერგე მეურნეობათა რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქნერგის“ თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვალერიან ვალერიანის ძე **გურალია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 11 აპრილი.
№ 1674—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 86 ამხ. რ. ჯ. კონცელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. რესან ჰასანის ძე **კონცელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 11 აპრილი.
№ 1673—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 87 ამხ. თ. ვ. ჩიკვაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე — რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ თავმჯდომარის პირველი მოად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილე ამხ. თენგიზ ვალერიანის ძე **ჩიკვაიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 11 აპრილი.
№ 1676—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 88 ამხ. ნ. ბ. ჩხოლარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — ყურძნის წარმოება-გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ნოდარ ბაგრატის ძე **ჩხოლარია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 11 აპრილი.
№ 1672—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 89 ამხ. ლ. ლ. კაკულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ლეონა ლავრენტის ასული **კაკულია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 14 აპრილი.
№ 1679—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 90 ამხ. ს. ზ. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ჩოხატაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სოსლან ზაქარიას ძე **ცინცაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 14 აპრილი.
№ 1680—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 91 ამხ. ნ. ბ. ვაშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ნოდარ გრიგოლის ძე **ვაშაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 22 აპრილი.
№ 1684—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 92 ამხ. თ. ვ. თევზაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების დაპროექტების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებით საპროექტო ინსტიტუტ თბილქალაქპროექტის მთავარი არქიტექტორი ამხ. თამაზ ელადმერის ძე **თევზაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 22 აპრილი.
№ 1685—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 93 ამხ. კ. ა. კოჩიეტოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

უმწიკვლო ნაყოფიერი სამსახურისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ამერიკაკაკასიის წითელ-დროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი **კონსტანტინე** ალექსის ძე **კოჩეტოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 25 აპრილი.
№ 1688—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 94 ამხ. ო. გ. ხატიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ოთარ გიორგის ძე **ხატიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 28 აპრილი.
№ 1691—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 95 ამხ. თ. შ. კაკულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში აქტიური, ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. თამარ შალვას ასული **კაკულოვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 29 აპრილი.
№ 1694—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 96 ამხ. ჯ. დ. ჯანაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის აგროსამრეწველო განყოფილების უფროს რეფერენტს ამხ. ჯანგარ დავითის ძე **ჯანაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 11 აპრილი
№ 1677—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 97 „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიო წოდება მიენიჭოთ სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს:

ირაკლი არჩილის ძე **ბაირამაშვილს** — განყოფილების გამგეს.

ქეთევან გრიგოლის ასულ **ორჯონიკიძეს** — ლაბორატორიის გამგეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქებარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 14 აპრილი.
№ 1681—XI

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. უმაღლესი საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით განხილულ იქნა საკითხები მერვე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის შესახებ.

*
* *

სხდომაზე მიღებულ იქნა ცნობად საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კვების ორგანიზაციის შესახებ“ და აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს დაევალათ მიმდინარე წლის 1 ივნისამდე შეისწავლონ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კვების მდგომარეობა, მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ საქმეში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად და განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1988 წლის 15 ივნისამდე.

ასევე მიღებულ იქნა ცნობად განყოფილების მოხსენებითი ბარათი „ბრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით არჩეული საქალაქო და სასოფლო საბჭოების მუშაობისადმი სახალხო დეპუტატთა წითელი წყაროსა და ონჩარის რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ და იგი დაეგზავნათ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს,

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა წითელი წყაროსა და ოჩამჩირის რაიონული საბჭოების აღმასკომებს განსახილველად და მასში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების მისაღებად.

*

* *

მოისმინა რა კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ნ. გოდერძიშვილის ინფორმაცია ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მიღებული ზომების მიუხედავად რაიონში ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლას აკლია სისტემურობა, კომპლექსურობა, კონკრეტულობა და შეტევითობა. ლოთობა კვლავინდებურად გავრცელებულია და დანაშაულის ჩადენის, შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

მაგალითად, 1987 წელს სისხლის სამართლის სამეძებროს ხაზით რეგისტრირებული ბევრი დანაშაული ჩადენილია მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიერ. ასევე მძიმე დანაშაულიც — მათ შორის განზრახ მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, გაუპატიურება და სხვ., ჩადენილია სიმთვრალეში. ლოთობის ნიადაგზე ჩადენილი ბევრი დანაშაული მოდის კასპის საქალაქო, ოკმისა და ხოვლეს სასოფლო საბჭოებზე, ეს მოწმობს, რომ დასახელებულ, აგრეთვე მეტეხის, ქვემო ჭალის, ლამისყანის და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოში ლოთობასთან, ალკოჰოლიზმსა და სამართალდარღვევებთან ბრძოლაში ნაკლებად არიან ჩაბმული მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, აღმასკომებთან არსებული შესაბამისი კომისიები, საბჭოთა აქტივი.

მნიშვნელოვნად შეასუსტეს მუშაობა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შექმნილმა ლოთობასთან ბრძოლის კომისიებმაც; ისინი ყოველთვის უნარიანად და პრინციპულად ვერ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, განსაკუთრებით ლოთობის პროფილაქტიკისათვის, ამ საქმით დაინტერესებული ყველა ორგანოსა და ორგანიზაციის ძალთა გაერთიანებისათვის, აღნიშნული მომართულებით ნელა და დუნედ წარმართავენ თავიანთ მუაშობას აგრეთვე სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები.

ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად აქვეითებს ამ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის უქონლობა. სასოფლო საბჭოების, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობა ამ მხრივ ხშირად ინერტული, არაკოორდინირებული და კამპანიური ხასიათისაა.

რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები, პროფკავშირული ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები ლიბერალიზმს იჩენენ სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილ და შრომის დისციპლინის დამრღვევ პირთა მიმართ, ყოველთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იღებენ მათ წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს, ნაკლებად იყენებენ ამ საქმეში შრომითი კოლექტივების შესახებ კანონით გათვალისწინებულ შესაძლებლობებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში, ელექტროაპარატის ქარხანაში, ტყის სანერგე მეურნეობაში, № 2670 ავტოკოლონაში, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო და სხვა საწარმოებში გახშირდა სამუშაოზე მთვრალ მდგომარეობაში გასვლის შემთხვევები.

უფრო მეტიც, რიგი საწარმოების ხელმძღვანელობა არადროულად და ფორმალურად რეაგირებს თავიანთ მუშაკთა ლოთობისა და მათ მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების წარდგინებებზე (მეტეხის საშენ მასალათა, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატები, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, კოლმეურნეშენი, კასპისა და ნოსტეს კოლმეურნეობები და სხვ.).

ძირეული გარდატეხა არ მომხდარა არაყის შინ გამოხდასთან ბრძოლაში. ეს მუშაობა სუსტად მიმდინარეობს ალიანის, ხოვლეს, ლამისყანის, ოკმისა და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოში. მაგალითად, ხოვლეს სასოფლო საბჭოში არაყის შინ გამომხდელი და ადგილობრივ საბჭოში აღრიცხვაზე მყოფი 66 ოჯახიდან გამოსახდელი აპარატი ჩამოერთვა მხოლოდ სამს. ამ მიმართულებით განსაკუთრებით უინიციატივოდ და ინერტულად მოქმედებენ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები.

1987 წელს რაიონის ტერიტორიაზე გამოვლინდა 234 მძღოლი, რომლებიც მთვრალ მდგომარეობაში მართავდნენ ავტოტრანსპორტს. სიმთვრალეში ტრანსპორტის მართვის შემთხვევები იყო ლამისყანისა და ოკმის საბჭოთა მეურნეობებში, მირითის მეფრინველეობის ფაბრიკაში, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატში და სხვ. ყოველივე ეს რაიონის მძღოლთა შორის აღმზრდელობითი, ანტიალკოჰოლური, პროფილაქტიკური მუშაობის დაბალი დონისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურის არადამკვმაყოფილებელი საქმიანობის შედეგია.

ზოგიერთ სასოფლო საბჭოს არაპრინციპული, ლოდინის, ზოგჯერ კი ხელის შეშვების პოზიცია უჭირავს ხალხმრავალი ქორწილის, ქელეხისა და სხვა ღონისძიებათა ჩატარების მიმართ, რასაც თან ახლავს სპირტიანი სასმელების ჭარბად მოხმარება (კავთისხევის, მეტეხის, სამთავისისა და სხვა სასოფლო საბჭოები).

ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს ნარკოლოგიური სამსახურიც. ნარკოლოგიური კაბინეტი მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, არ გააჩნია თანამედროვე მოწყობილობა და პრეპარატები ავადმყოფთა ეფექტიანი მკურნალობისათვის. არ სრულდება სადირექტივო ორგანოების მოთხოვნები მსხვილ საწარმოებში ნარკოლოგიური საგუშაგოების შექმნის შესახებ.

ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლაში, მოსახლეობის თავისუფალი დროის გონივრულად ორგანიზაციაში, ფარული ცხოვრების წესის დამკვიდრებაში, ახალი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ფორმირებაში ნაკლებად არიან ჩაბმული კულტურულ-საგანმანათლებლო, ფიზკულტურისა და სპორტის დაწესებულებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოსა და მის აღმასკომს დაუყოვნებლივ მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

* * *

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ, რესპუბლიკის მუზეუმებში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების მიღების, გამოფენის და შენახვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ყველა მათგანზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

2 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის დ. ი. ჩხეკვიშვილის ხსოვნას, რომელიც სესიებს შუა პერიოდში გარდაიცვალა.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. ო. ყარყარაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ, რომლებიც აირჩიეს გამოკლებულთა ნაცვლად.

დეპუტატებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. ცვლილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის პროექტი.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა გ. ა. ხგერსკი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ მის გადასვლასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი ვ. ბ. ბლაჟიევსკი — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ო. ე. ჩერქეზიამ.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: რ. ა. ჯაფარიძე — საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ო. გ. ზუხბაია — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ე. შ. ბაძგარაძე — ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მქსოველი, ა. ქ. ღაღაშვილი — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ზ. ა. იმანოვა — მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ა. დ. დიხტიარი — „თბილქალაქმშენის“ № 5 სახლთაშენებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ე. ნ. შენგელაია — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, გ. დ. მგელაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე, დ. ე. სარიშვილი — საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, ა. ო. მოფსესიანი — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, ა. ნ. თავხელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ა. კაჩიაშვილი.

წინადადებებითა და განცხადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ლ. ლ. ღოღობერიძე — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, ო. დ. კალანდარიშვილი — „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი, საკავშირო საპატენტო ცენტრის საქართველოს ფილიალის დირექტორი ამხ. თ. პ. სალია.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ო. ე. ჩერქეზიამ.

**განხილულ** საკითხზე სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება.

დეპუტატებმა მოისმინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ვ. ა. კვარაცხელიას მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხთა მუდმივი კომისია, აირჩია მისი **წევ**რები 17 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი დ. გ. სტურუა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

სესიაზე შეიტანეს ზოგიერთი ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში.

შეკითხვის წესით აღძრულ საკითხზე, რომელიც სესიის სახელზე შემოიტანა ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სახალხო განათლე-

ბის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიამ იმის შესახებ, თუ როდის შესრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ახალქალაქში საავადმყოფოს და სანეპიდსადგურის მშენებლობის შესახებ, უპასუხა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დეპუტატმა ი. ა. მენაღარიშვილმა.

მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

საჯაროობისა და დემოკრატიზმის გაფართოების მიზნით გადაწყდა ამიერიდან სესიებზე განხილულ იქნეს საკითხი ყოველი მომდევნო სესიის დღის წესრიგის შესახებ. მორიგ, მეცხრე სესიაზე ნავარაუდევია განიხილონ შემდეგი ძირითადი საკითხები: ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში გარდაქმნის განხორციელებისათვის; პროექტი საქართველოს სსრ კანონისა „სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ“.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების და აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიებმა, რომლებმაც განიხილეს საკითხი „კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა განაწილების, გამოყენებისა და დამკვიდრების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის 1986 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, აღნიშნეს, რომ ბოლო ორი წელია სერიოზული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის კვალიფიციური ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადებას, განაწილებასა და სამუშაო ადგილზე დამკვიდრებას.

**ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ამ საქმეში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების და აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიებმა დაადგინეს ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სწორი განლაგების საკითხი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

**რჩევა მიეცათ:**

**საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს — თავიანთ მუშაობაში კვლავაც იხელ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების ეროვნულურად გამოყენების კომისიის 1986 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით და მკაცრი კონტროლი დაწესონ სოფლის მეურნეობის პროფილის პროფტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და მომზადებული სპეციალობის მიხედვით დასაქმებაზე; ამაღლონ საბაზო ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტთა დოსტატებისა და განაწილების საქმეში:

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს შესაბამის აგროსამრეწველო გაერთიანებებთან ერთად — განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდა მუშების საოჯახო და კოლექტიური იჯარის სხვადასხვა ფორმებში ჩაბმას, მომამზადონ ისინი უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და მანქანა-იარაღებით.

*

* *

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ იმსჯელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 27 აპრილის დადგენილების შესაბამისად მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის ხბილისისა და სამტრედიის განყოფილებათა მუშაობის შესახებ.